Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

ქართული პოლიტიკური პარტიები ევროპულ კონტექსტში: გამოწვევები და შესაძლებლობები

ნინო სამხარაძე

პოლიტიკის დოკუმენტი
ოქტომბერი 2023

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

პოლიტიკის დოკუმენტი
გამოცემა #36 | ოქტომბერი 2023

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით. ის ასევე ხელს უწყობს საზოგადოების მონაწილეობას სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის და დემოკრატიის განვითარების პროცესებში. ორგანიზაციის მიზანია, გახდეს კვლევებისა და პოლიტიკური ინოვაციების წამყვანი ცენტრი საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში. ამ მიზნის მისაღწევად GIP ატარებს შესაბამის სიღრმისეულ კვლევებს, ვრცელ საინფორმაციო სამუშაოს ფართო საზოგადოებასთან და ხელს უწყობს თამამ ინოვაციებს პოლიტიკურ დისკურსსა და პოლიტიკურ მსჯელობაში.

პუბლიკაცია მომზადდა „საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს“ მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ და „საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს“ შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

ნინო სამხარაძე, “ქართული პოლიტიკური პარტიები ევროპულ კონტექსტში: გამოწვევები და შესაძლებლობები,” პოლიტიკის დოკუმენტი No. 36, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ოქტომბერი 2023.

© საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2023
საქართველო, თბილისი 0107, ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 13
ტელ.: +995 599 99 02 12
ელ. ფოსტა: info@gip.ge
დამატებითი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ:
www.gip.ge

Cover photo credit:
European Parliament.AVC Group

ავტორის შესახებ

ნინო სამხარაძე არის პოლიტიკის ანალიტიკოსი საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტში. ამავე დროს ის არის დოქტორანტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით. მაგისტრის ხარისხი მან ნაციონალიზმსა და ეთნიკურობის კვლევებში მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო ბაკალავრიატი საერთაშორისო ურთიერთობებში დაამთავრა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში. ამავე უნივერსიტეტში მოწვეული ლექტორის სტატუსით კითხულობს კურსებს შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში და ნაციონალიზმი საერთაშორისო ურთერთობებში. ნინოს კვლევითი ინტერესები ეხება ნაციონალიზმს და იდენტობის პოლიტიკას და მათ გავლენას პოლიტიკურ პროცესებზე პოსტ-საბჭოთა რეგიონში.

სარჩევი

მოკლე შინაარსი 6

შესავალი 7

მორიგი ჩატეხილი ხიდი თბილისსა და ბრიუსელს შორის 7

ვის დარჩა მეგობრები დასავლეთში? ქართული პოლიტიკური პარტიები ევროპულ პარტიულ ჯგუფებში 10

ევროპული პარტიული გაერთიანებების მნიშვნელობა ქართული პარტიებისთვის: ვიწროპარტიული სარგებლიდან ეროვნულ ინტერესებამდე 14

პარტიების სანდოობა საზოგადოებაში: დამატებითი კავშირი ამომრჩეველთან 19

დასკვნები და რეკომენდაციები 21

გამოყენებული ლიტერატურა 24

მოკლე შინაარსი

ბოლო რამდენიმე წელია, საქართველო თანდათანობით შორდება განვითარების ევროპულ გზას. ხელისუფლება ევროინტეგრაციისთვის საჭირო ფუნდამენტური რეფორმებისთვის საკმარის ნებას არ გამოხატავს, კონფრონტაციულად უპირისპირდება ქვეყნის შენელებული დემოკრატიზაციის დასავლურ კრიტიკას; მმართველი პარტია, რომელსაც 2024 წელს ძალაუფლების მეოთხე ვადით შენარჩუნების ამბიცია აქვს, ევროპასთან კავშირებს სწრაფად კარგავს. ამ შემაშფოთებელი დინამიკის ერთგვარი კულმინაციური ეპიზოდი იყო 2023 წლის მარტში ევროპელ სოციალისტთა ევროგაერთიანების რიგებში ქართული ოცნების გარიცხვის საკითხის დაყენება, რასაც თავად ქართულმა ოცნებამ დაასწრო და დატოვა პარტია იმ მოტივით, რომ ის ვერ ხედავდა საკმარის მხარდაჭერას ევროპელ მეგობრებში (PES 2023b; ქართული ოცნება 2023).

მეორე მხრივ, ოპოზიცია სუსტი და ფრაგმენტულია და, ამ ეტაპზე, მზარდი ავტორიტარული ტენდენციების გათვალისწინებით, არ აქვს საკმარისი რესურსი ქართული ოცნების ერთპარტიულობის დასაბალანსებლად. სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით, პარტიების მიმართ საზოგადოებრივი ნდობა არც ისე მაღალია (CRRC 2023a). იმისთვის, რომ ოპოზიციამ შეძლოს და რეალური წვლილი შეიტანოს საქართველოს ევროინტეგრაციულ პროცესში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა შეიძლება იყოს ევროპულ პარტიულ გაერთიანებებში გააქტიურება.

წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტი იკვლევს, თუ როგორ მოქმედებენ დღეს ქართული პარტიები საერთაშორისო არენაზე, კერძოდ, ევროპულ პარტიულ გაერთიანებებში. რატომაა განსაკუთრებით ახლა მნიშვნელოვანი ამ მიმართულებით პარტიების მუშაობის გაძლიერება. კვლევის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუები ქართული პარტიების წევრებთან, ევროპული პარტიების გაერთიანებების წარმომადგენლებთან, და ექსპერტებთან. კვლევის მიგნებების საფუძველზე, ნაშრომში წარმოდგენილია რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება, პარტიებმა ეფექტიანად გამოიყენონ ევროპულ პარტიულ გაერთიანებებთან კავშირები.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური პარტიები; ევროპული პარტიების გაერთიანებები; ევროინტეგრაცია; დემოკრატია; არჩევნები

შესავალი

საქართველოს ბოლოდროინდელი დემოკრატიული უკუსვლის პარალელურად (Freedom House 2023), ქვეყნის ხელისუფლებას თანდათან ურთიერთობები უფუჭდება ისეთ ევროპელ ლიდერებთან, რომლებიც, ტრადიციულად, საქართველოს ევროინტეგრაციის მხარდამჭერებად მოიაზრებიან. ამ ფონზე, არადემოკრატიული ტენდენციების გამო, დასავლეთიდან მომდინარე კრიტიკის ფონზე, 2023 წლის მარტში ჯერ ქართული ოცნების ევროპელ სოციალისტთა პარტიიდან გარიცხვის საკითხი დადგა დღის წესრიგში, ხოლო შემდეგ ქართულმა ოცნებამ ამ პროცესს თავად დაასწრო და თავად დატოვა ევროპის სოციალისტთა პარტია (PES 2023b; ქართული ოცნება 2023).

ევროპული პარტიების გაერთიანებებთან ასოცირება და მათი წევრობა უმნიშვნელოვანესი პლატფორმაა ისეთი ქვეყნისთვის, რომლისთვისაც ევროინტეგრაცია კონსტიტუციურად გაცხადებული საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტია. მმართველი პარტიის ევროპული პოლიტიკური ელიტისგან დისტანცირებამ სერიოზული ვაკუუმი შექმნა ბრიუსელთან კომუნიკაციის და საქართველოს მიმართ შესაბამისი პოლიტიკური მხარდაჭერის მობილიზების თვალსაზრისით. ამიტომ, აუცილებელია, რომ კიდევ უფრო გააქტიურდნენ ის პარტიები, რომლებიც ინარჩუნებენ წევრობას ან აფილირებას ევროპული პარტიების ოჯახებთან, და, ერთი მხრივ, საკუთარი პარტიული გაძლიერებისთვის გამოიყენონ ეს რესურსი, მეორე მხრივ, უზრუნველყონ, რომ საქართველოს საკითხმა ბრიუსელში აქტუალობა არ დაკარგოს.

მორიგი ჩატეხილი ხიდი თბილისსა და ბრიუსელს შორის

ევროპული პარტიული გაერთიანებები წარმოადგენენ ევროპული პოლიტიკური ელიტის ძირითად ღერძს და ქმნიან პარტიულ კავშირებს ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტებთან (Van Hecke 2010). ამგვარი გაერთიანებები არიან ნაციონალური პარტიებისგან შემდგარი ოჯახები, რომლებიც ერთიანდებიან იდეოლოგიური და ღირებულებითი პრინციპებით და ქმნიან შესაბამის პარტიულ ჯგუფებს ევროპარლამენტში, სადაც მიმდინარეობს დებატები ევროკავშირის პოლიტიკის შესახებ, მათ შორის, გაფართოების საკითხებზე. ამიტომ, ევროპული პარტიების ოჯახებს *„ევროინტეგრაციის უხილავ მედიატორებსაც“* უწოდებენ (Öhlén 2023). დღეს ევროპარლამენტში 18 ევროპული პარტიების გაერთიანება 7 პოლიტიკურ ჯგუფში მოქმედებს (European Parliament n.d.). სხვადასხვა ქართული პარტიები მათგან ორ ყველაზე დიდ ოჯახთან არიან ასოცირებული, ესენია: ევროპის სახალხო პარტია (EPP) და ლიბერალების და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის (ALDE).

დემოკრატიული უკუსვლის ფონზე, რაც, პერიოდულად, ევროპარლამენტარებისგან სამართლიან კრიტიკას იმსახურებს. შედეგად, როგორც წესი, ევროპელი პოლიტიკოსების კრიტიკულად განწყობილი ნაწილი ქართული ოცნებისგან საპირისპირო აგრესიულ რეაქციას იღებს, მაგალითად, პარტიის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის თქმით, როგორც ენმ-ს, ისე ევროპულ საქართველოს, აქვთ გავლენა ევროპის სახალხო პარტიაზე (EPP)-ის პოზიციაზე, რითაც არის განპირობებული EPP-ის კრიტიკული განცხადებები (კობახიძე 2022). ქართული ოცნების რიტორიკა შესამჩნევად უკომპრომისოა ევროპარლამენტის ყველაზე დიდი პარტიული გაერთიანების მიმართ, რაც ჩანს პათოსში, რომ *„ნაცმოძრაობის მეგობარი ვერ იქნება საქართველოს მეგობარი“*. უფრო მეტიც, EPP-ის მოქმედებები სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლადაა მიჩნეული ოცნების ლიდერების სხვადასხვა განცხადებებში (კობახიძე 2022, წულუკიანი 2022, ვოლსკი 2022). ამგვარად, ფაქტია, რომ ქართულმა ოცნებამ ნაციონალურ მოძრაობასთან ვიწროპარტიული შიდაპოლიტიკური დაპირისპირება გადაზარდა ისეთ პოლიტიკურ ჯგუფთან დაპირისპირებაში, რომლის წევრებს შორისაც არიან შვედეთის, ავსტრიის, ფინეთის, საბერძნეთის და სხვა ქვეყნების ლიდერები (EPP n.d.a; დანართი 1)[1] და რომლებთანაც ეროვნულ საკითხებზე მუდმივი კეთილგანწყობილი კომუნიკაცია ნებისმიერი მმართველი ძალის ფუნქცია უნდა იყოს. მსგავსია ტენდენცია მეორე ევროპული პარტიების გაერთიანებასთან, ALDE-სთან, რომელიც, ასევე, პერიოდულად აფიქსირებს თავის კრიტიკულ განწყობას ქართული ოცნების დემოკრატიული რეფორმების ხარვეზების შესახებ (ALDE 2022).

ევროპელ პოლიტიკოსებთან კონფრონტაციის დინამიკამ კულმინაციას მიაღწია, როცა ქართულ ოცნებას ურთიერთობა გაუფუჭდა იმავე ევროპულ პარტიულ გაერთიანებასთან, რომელთანაც თავად იყო ასოცირებული. მას შემდეგ, რაც პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა 2023 წლის გაზაფხულზე, სხვადასხვა საერთაშორისო პლატფორმებზე ანტიდემოკრატიული განწყობები დააფიქსირა (Samkharadze 2023), PES-ში დადგა ქართული ოცნების გარიცხვის საკითხი და როგორც ევროპული პარტიების გაერთიანების ვიცე-პრეზიდენტმა, კეტი პირიმ თქვა, *პოლიტიკურ გაერთიანებაში "ქართული ოცნებისთვის" სტატუსის შეჩერებაზე ერთსულოვნებაა და ოცნებას არავინ უჭერს მხარს* (Formula 2023). მნიშვნელოვანია, რომ ევროპის სოციალისტური პარტიის ახალი შვედი პრეზიდენტის შტეფან ლოვენის მმართველობის ქვეშ პარტიას განსაკუთრებული აქცენტი აქვს გაკეთებული დემოკრატიულ სტანდარტებზე და სწორედ სტეფან ლოვენმა დააყენა მარტში „ქართული ოცნების“ სტატუსის გადახედვის საკითხი (ლავრელაშვილი 2023). ამის გათვალისწინებით, ქართული ოცნების დემოკრატიული უკუსვლა პოტენციურადაც სერიოზული დაბრკოლება იქნებოდა პარტიის მნიშვნელოვან ევროპულ პოლიტიკურ წრეებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ამიტომ ოცნებამ პასუხად კიდევ უფრო რადიკალური გადაწყვეტილება მიიღო და საპირისპირო ბრალდებებით დატოვა ევროპელ სოციალისტთა ჯგუფი (ქართული ოცნება 2023).

[1] დანართი 1: ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამთავრობო ლიდერების გადანაწილება ევროპული პარტიების გაერთიანებებში.

შესაბამისად, მმართველმა პარტიამ საკუთარი ნებით დაკარგა დამატებითი წვდომის შესაძლებლობა მნიშვნელოვან ევროპელ პოლიტიკოსებთან, როგორიცაა სვენ მიკსერი, საქართველოს საკითხის შესახებ ევროპარლამენტის მომხსენებელი, მარია კალიურანდი, საქართველოს ტრადიციული მეგობარი ევროპარლამენტარი, არაერთი ქვეყნის მთავრობის მეთაური და ა.შ. როგორიცაა ოლაფ შოლცი, პედრო სანჩესი, მეტე ფრედერიკსენი და სხვები (PES n.d. დანართი 1). ქართულ ოცნებას დღეს იმ ევროგაერთიანებაშიც აღარ ჰყავს მეგობრები, რომელთანაც პარტია იდეოლოგიურად და ინსტიტუციურად ასოცირდებოდა 10 წელზე მეტი ხნის მანძილზე (კაკაჩია 2023). მიუხედავად იმისა, რომ პარტია აქამდეც მოიკოჭლებდა ევროპულ პარტიულ გაერთიანებასთან კომუნიკაციასა და აქტიურ ლობირებაში (ლავრელაშვილი 2022), ლოგიკურად, ოცნებას კიდევ უფრო მცირე რესურსი რჩება ევროპულ პოლიტიკურ პროცესსა და ნარატივებზე გარკვეული გავლენის მოხდენისთვის.

ქართული ოცნებისგან რომელიმე სხვა პოლიტიკურ ჯგუფთან ასოცირებას სამომავლოდაც ნაკლებად უნდა ველოდოთ. იდეოლოგიური თანხვედრის მიღმა, გაციებული ურთიერთობების ფონზე, თუკი ოცნება კვლავ მოისურვებს რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფთან დაკავშირებას, მას ევროკავშირის გაფართოების მიმართ სკეპტიკურად განწყობილი მემარჯვენე პარტიული გაერთიანებების გარდა, სხვა დიდ ჯგუფებთან აფილირება გაუჭირდება. მართალია, თეორიულად მას შეუძლია, შეუერთდეს ევროპის კონსერვატიულ ჯგუფს, თუმცა ამაზე მსჯელობა, ამ ეტაპზე, ნაადრევია (იოზვიაკი 2023). ჯამში, ეს სერიოზული რეპუტაციული ზიანია არა მხოლოდ კონკრეტული პარტიისთვის, არამედ ზოგადად ქვეყნისთვისაც, განსაკუთრებით, მაშინ, როცა ყალიბდება წევრი სახელმწიფოების აზრი საქართველოს კანდიდატის სტატუსზე (კაკაჩია 2023).

შესაბამისად, დღეს არსებული მოცემულობის მიხედვით, საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელიც არცერთ ევროპულ პოლიტიკურ ჯგუფთან აღარ ასოცირდება, შეზღუდული აქვს წვდომა ევროპულ პოლიტიკურ პროცესთან და მნიშვნელოვნად აქვს დაზიანებული იმიჯი ბრიუსელში. ამ ფონზე, კიდევ უფრო საყურადღებო ხდება, ვის დარჩა მეგობრები ევროპაში ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის და როგორ შეიძლება ამ კავშირების ეფექტიანად გამოყენება.

ვის დარჩა მეგობრები დასავლეთში? ქართული პოლიტიკური პარტიები ევროპულ პარტიულ ჯგუფებში

ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოს პარტიებისთვის ევროპული პარტიების ჯგუფებთან ასოცირება ან, უკეთეს შემთხვევაში, წევრობა დიდი მნიშვნელობისაა, განსაკუთრებით, ისეთი სახელმწიფოს შემთხვევაში, რომელსაც ევროინტეგრაცია გაცხადებულ საგარეოპოლიტიკურ ამოცანად აქვს დასახული (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 1995). თუკი ზოგად სურათს შევხედავთ, 2023 წლამდე ევროპული პარტიების ოჯახებთან ქართული პარტიების ასოცირება საკმაოდ ფართო იყო. სხვადასხვა დროს ევროპული პარტიების 4 მსხვილ ჯგუფში 9 ქართული პარტია ერთიანდებოდა (ცხრილი 1). ყველაზე ადრე, 2007 წელს ლიბერალ-დემოკრატების ალიანსში ევროპისთვის (ALDE) საქართველოს რესპუბლიკური პარტია გაწევრდა, ხოლო 2008 წელს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა აფილირდა ევროპის სახალხო პარტიასთან (EPP). 2012 წლის შემდეგ სხვადასხვა ევროპული პარტიების გაერთიანების წევრი კიდევ შვიდი ქართული პოლიტიკური პარტია გახდა.[2] 2022 წელს ეს რიცხვი ყველაზე მეტად გაიზარდა: ერთდროულად სამი ქართული ოპოზიციური პარტია გაწევრდა ALDE-ში, რაც იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ქართულ ოპოზიციაში ევროპულ პოლიტიკურ ელიტასთან მჭიდრო კავშირების დამყარების პერსპექტივა იზრდება. მას შემდეგ რაც ევროპული პარტიების გაერთიანებაში ქართული ოცნების გარიცხვის საკითხზე მსჯელობა დაიწყეს და ოცნებამ თავად მიიღო პარტიის დატოვების გადაწყვეტილება, ევროპულ ოჯახებთან 7 ქართული ოპოზიციური პარტია აგრძელებს აფილირებას.

[2] საქართველოს კონსერვატიული პარტია ACRE-ს წევრებს შორის ბოლო რამდენიმე წელია, აღარ მოიაზრება

ცხრილი 1: ქართული პოლიტიკური პარტიები ევროპული პარტიების გაერთიანებებში

ევროპული პარტიების გაერთიანება	ქართული პოლიტიკური პარტია	გაწევრება/ აფილირება	სტატუსი
ლიბერალ-დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის (ALDE)	საქართველოს რესპუბლიკური პარტია	2007	აფილირებული[3]
	თავისუფალი დემოკრატები	2012	აფილირებული
	ლელო საქართველოსთვის	2022	სრული
	გირჩი მეტი თავისუფლება	2022	აფილირებული
	სტრატეგია აღმაშენებელი[4]	2021	სრული
ევროპის სახალხო პარტია (EPP)	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	2008	დამკვირვებელი
	ევროპული საქართველო	2017	დამკვირვებელი
ევროპის სოციალისტური პარტია (PES)	ქართული ოცნება	2012	დამკვირვებელი / დატოვა
ევროპის კონსერვატორებისა და რეფორმისტების ალიანსი (ACRE)	საქართველოს კონსერვატიული პარტია	2014	დატოვა

წყარო: შედგენილი ავტორის მიერ

ამ თვალსაზრისით, ყველაზე ინკლუზიური მიდგომა აქვს ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსს ევროპისთვის - ALDE-ს. ის ყველაზე ლიბერალურია არაევროკავშირული პარტიების მიღებისას და მათი სტატუსების განსაზღვრისას (ALDE n.d.a; Burgess 2023), რაც ქართული პარტიებისთვის ერთგვარი პრივილეგიაა, უფრო აქტიურად და თვალსაჩინოდ გამოიყენონ თავიანთი სტატუსი ევროპულ პოლიტიკაზე სასარგებლო გავლენის კუთხით. ნიშანდობლივია, რომ ქართული ოპოზიციური პარტიებიდან ყველაზე მეტი - ხუთი პარტია ამ ალიანსთანაა ასოცირებული სხვადასხვა სტატუსით.სწორედ აქ შეუძლიათ ქართულ პარტიებს ყველაზე მაღალი სტატუსის - სრული წევრობის მიღება (ცხრილი 1; ALDE n.d.b). მაშინაც კი, როცა პარტია არ წარმოადგენს ევროკავშირის წევრ ქვეყანას, მას შეუძლია იყოს ევროკავშირის ფარგლებში ევროპული ჯგუფის მუშაობის ტექნიკური მონაწილე. მაგალითად, კომიტეტის წევრი რომელიც, ამავდროულად, პარტია ლელოს წარმოადგენს,

[3] სხვადასხვა ევროპარტიებს წევრობის ან აფილირების განსხვავებული რანჟირება აქვთ. ალდეს ჰყავს სრული და აფილირებული წევრები; EPP-ს სრული და დამკვირვებელი წევრები; სტატუსები ძირითადად ორივე პარტიაში განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებაში ჩართულობის ხარისხს;

[4] სტრატეგია აღმაშენებელი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 2023 წლის 20 ივლისს ალიანსში გაერთიანდნენ; უცნობია, როგორ იმოქმედებს ეს ევროპარტიებში მათ წევრობაზე; იგივე შეეხება დროას და გირჩი-მეტი თავისუფლებას.

მონაწილეობას იღებს მიმართვების შექმნაში (Burgess 2023; გეგელია 2023). ALDE ამგვარ პარტნიორებს მაშინაც აძლევს პროცესში ჩართულობის საშუალებას, როცა ალიანსი გაფართოების გარდა, საკუთრივ ევროკავშირის პოლიტიკურ საკითხებზე მუშაობს.

ALDE-ს წევრებს შორის, უმეტესად, პატარა (მცირე რესურსების ან მცირე ელექტორატის მქონე) ქართული პარტიები არიან. ამიტომ ზოგიერთი მათგანისთვის გამოწვევის სახით არსებობს ის, რომ სტატუსის განსაზღვრისას, სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანია ფინანსური შესაძლებლობები: პარტიისთვის წლიური საწევრო, სტატუსის მიხედვით, შეიძლება, მერყეობდეს 2 000 - 5 000 ევროს ფარგლებში. ამის მიხედვით, თავად აპლიკანტი პარტიები წყვეტენ, ევროპარტიაში სტატუსობრივად სად სურთ და შეუძლიათ, რომ იყვნენ (Burgess 2023). მაგალითისთვის, თავისუფალმა დემოკრატებმა, ფინანსური ფაქტორის გამო, სტატუსობრივად უკუსვლა განიცადეს. აქედან გამომდინარე, იმისთვის, რომ პარტიებმა ეფექტიანად შეძლონ ფუნქციონირება და მოქმედება ევროპულ გაერთიანებებში, მნიშვნელოვანია, რომ ეს მიმართულება მათ ფინანსურ პრიორიტეტებს შორისაც იყოს (კვაშილავა 2023).

რაც შეეხება, მეორე ევროპულ გაერთიანებას - ევროპულ სახალხო პარტიას - EPP-ს, რომელთანაც ქართული პარტიები ასოცირდებიან, თავდაპირველად სრულად ჩაკეტილი კლუბი იყო არაევროკავშირული პარტიებისთვის. 2004 წლამდე ბრიუსელში არ იცოდნენ ბევრი ადგილობრივი პარტიების შესახებ უკრაინიდან, საქართველოდან და ა.შ. (EPP ინტერვიუ 2023). მიუხედავად იმისა, რომ დღეს, ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების პარტიებს შეუძლიათ გახდნენ დამკვირვებელი წევრები, არაევროკავშირის წევრი ქვეყნების პარტიებს EPP, ALDE-სთან შედარებით, შეზღუდულ წვდომას აძლევს ევროპულ პოლიტიკაზე. თავის მხრივ, ევროპის სახალხო პარტია, როგორც წესი, გამოირჩევა ქვეყნის დემოკრატიზაციის ტემპის კრიტიკით: ერთ-ერთი ყველაზე მწვავე მოვლენა, ამ მხრივ, იყო EPP-ის 2022 წლის მაისის რეზოლუცია, სადაც პარტია ოლიგარქად მიჩნეული ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესებას ითხოვდა (EPP 2022). ამასთან, EPP იყო მნიშვნელოვანი აქტორი, რომელმაც წვლილი შეიტანა PACE-ს რეზოლუციაში მიხეილ სააკაშვილის პატიმრობის გადახედვის საკითხის დაყენებაში (კრევო-ასათიანი 2023; PACE 2022).

საყურადღებოა, რომ წინასაარჩევნოდ, შიდაპოლიტიკურ ველზე, მნიშვნელოვანი იქნება ქართული პარტიების სხვადასხვა ალიანსურ კონფიგურაციებში გადანაწილების საკითხი და, ამ მხრივ, ევროპარტიებთან ურთიერთობების გაგრძელება. მაგალითად, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და სტრატეგია აღმაშენებელი აანონსებენ საერთო პოლიტიკურ პლატფორმას, რომლის მიზანია ამომრჩევლის კონსოლიდირება ქვეყნის შიგნით (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 2023). ამასთან, ცნობილია გირჩი-მეტი თავისუფლების და დროას თანამშრომლობის შესახებ არჩევნებისთვის. ამ ეტაპზე, ჯერ-ჯერობით ბუნდოვანია, როგორ აისახება მსგავსი გაერთიანებები პარტიების მოღვაწეობაზე საერთაშორისო არენაზე, მათ შორის, ევროპული პარტიების ჯგუფებში.

საინტერესოა საქართველოს მაჩვენებლები ასოცირებული ტრიოს კონტექსტშიც, რადგან როდესაც ქვეყნის წარმატებულ ევროინტეგრაციაზე ვსაუბრობთ, აუცილებელია, რომ საქართველოს პოლიტიკური განვითარება განვიხილოთ მსგავსი ამოცანების მქონე ქვეყნების კონტექსტში, როგორიცაა უკრაინა და მოლდოვა. ვიდრე ქართული ოცნება PES-ს დატოვებდა, საქართველოს მაჩვენებლები ასოცირებული ტრიოს დანარჩენი ორი ქვეყნის - უკრაინისა და მოლდოვის გვერდითაც საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა (ცხრილი 2). დღეს უკრაინას ევროპულ პარტიულ გაერთიანებებთან ასოცირებული 8 პარტია ჰყავს, ხოლო მოლდოვას - 5. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ამ მხრივ, რითაც თბილისი თვალნათლივ დაშორდა ევროპულ პოლიტიკურ ელიტას, არის ის, რომ მმართველი პარტია საქართველოში (განსხვავებით უკრაინისა და მოლდოვისგან) დღეს ოფიციალურად არცერთ ევროპულ პოლიტიკურ ჯგუფთან არაა ასოცირებული.

ცხრილი 2: *ქართული, უკრაინული და მოლდოვური პოლიტიკური პარტიები ევროპული პარტიების გაერთიანებებში*

	EPP	ALDE	PES	სულ
საქართველო	2	5	X	7
უკრაინა	4	5	X	9
მოლდოვა	3	2	1	6

წყარო: *შედგენილი ავტორის მიერ*

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორ ირჩევენ საკუთრივ ქართული პარტიები ისეთ ევროპულ ოჯახს, რომელთანაც სურთ კავშრების გაღრმავება. მაგალითად, პარტია ლელოსთვის კონცეპტუალურად მნიშვნელოვანი იყო ის, რომ კონკრეტული ევროპული გაერთიანება - ALDE - *უპირისპირდება ორპარტიულობას ევროპაში, თითქოს ის შუა ძალაა კონსერვატიულ მემარჯვენეებსა და სოციალისტურ ძალებს შორის.* და თავად პარტიაც სწორედ ამ პრინციპთან აიდენტიფიცირებს თავს ქართულ პოლიტიკაში (გეგელია 2023). გადაწყვეტილების მიღებისას, საყურადღებოა ისიც, თუ როგორ არიან გადანაწილებული სხვა ქართული პარტიები სხვადასხვა ევროპულ პარტიულ ჯგუფებში: თუკი მოცემულ მომენტში ენმ არის EPP-ის წევრი და ქართული ოცნება აფილირებულია PES-თან, ლოგიკურია, რომ პოლიტიკური ძალა, რომელსაც რადიკალური პოლიტიკური აქტორების დაბალანსებაზე აქვს ამბიცია, ALDE-ს აირჩევდა (გეგელია 2023). არის პარტიები, რომლებისთვისაც ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია იდეოლოგიური თავსებადობა და პოლიტიკური დღის წესრიგის კონკრეტულ იდეოლოგიურ ჩარჩოზე დაფუძნება. ასეთებად მოიაზრებიან ქართულ პოლიტიკურ არენაზე გამოკვეთილად ლიბერალური ვექტორის

პარტიები, საქართველოს რესპუბლიკური პარტია და გირჩი - მეტი თავისუფლება (სამნიძე 2023).

სხვადასხვა დაკვირვებებითა და კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ პარტიებს, რომლებიც ევროპული ოჯახების წევრები არიან, სხვადასხვა მიზეზების გამო, უჭირთ, სრულად გამოიყენონ ეს პრივილეგია. ევროპული პარტიების გაერთიანებების წევრობა, განსაკუთრებით, არაევროკავშირის წევრი ქვეყნების პარტიებისთვის, შეიძლება, პარტიული გაძლიერების ძლიერ მექანიზმად იქცეს, თუკი ეს სტატუსი და მისი სიკეთეები მაქსიმალურად იქნება ათვისებული მათი მხრიდან. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ქართულმა პარტიებმა მაქსიმალურად შეინარჩუნონ საქართველოს საკითხი ევროპულ პოლიტიკურ დებატში, განსაკუთრებით კი, ევროპულ პარტიების გაერთიანებების პლატფორმებზე.

ევროპული პარტიული გაერთიანებების მნიშვნელობა ქართული პარტიებისთვის: ვიწროპარტიული სარგებლიდან ეროვნულ ინტერესებამდე

ქართული პოლიტიკური პარტიებისთვის ევროპულ პარტიულ გაერთიანებებთან სხვადასხვა სტატუსით ასოცირება სასარგებლო შეიძლება იყოს სხვადასხვა მიმართულებებით ვიწროპარტიული სარგებლიდან ეროვნულ ინტერესებამდე. ამ თვალსაზრისით, შეიძლება განვიხილოთ შემდეგი ძირითადი საკითხები: *(1) პარტნიორები ევროპაში; (2) ქართული პარტიების იდეოლოგიური იდენტობის კონსოლიდაცია; (3) ქართული პარტიების შიდადემოკრატიული გაძლიერება; (4) საერთოეროვნული საკითხები ევროპულ პოლიტიკურ არენაზე.*

<u>პარტნიორები ევროპაში:</u> ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სარგებელი, რაც ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა შეიძლება მიიღონ ევროპარტიებში წევრობისგან, არის უშუალო და ახლო ურთიერთობების დამყარების ან გაღრმავების შესაძლებლობა ევროპულ პოლიტიკურ ელიტასთან.

ევროპარტიების ყრილობები, შეკრებები, სხვადასხვა სადისკუსიო ფორუმები ბევრად უშუალო ფორმატებია პირადი კავშირების დასამყარებლად, ვიდრე ოფიციალური ვიზიტების, სამიტების თუ დელეგაციების ფორმატი. ევროპული პარტიის კავშირები არის ერთგვარი ალიანსები, სადაც წესითა და რიგით პარტიებსაც და პოლიტიკოსებსაც მსგავსი ღირებულებები უნდა ჰქონდეთ, რაც საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობებს მეტ უშუალობას ანიჭებს, და რაც საერთაშორისო ურთიერთობების წარმოებისას

უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა. ასეთი პლატფორმები საშუალებას იძლევა, რომ ქართველმა პოლიტიკოსებმა პირადი და უშუალო კავშირები დაამყარონ მაღალი რანგის ევროპელ ლიდერებთან და მათ წინაშე დააყენონ სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები ევროპული პოლიტიკის და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მიმართულებით. ამავდროულად, ევროპაში შეიძლება დაინახონ გარკვეული პოლიტიკური ჯგუფი საქართველოდან, რომელსაც პერსპექტივაში შეიძლება ანდო მმართველობა და განახორციელო წარმატებული სამთავრობო თანამშრომლობაც (გეგელია 2023).

დიდი შესაძლებლობები აქვს ხუთ ქართულ პარტიას, რომლებიც ALDE-ს წევრები არიან. ALDE აერთიანებს ევროკავშირის წამყვან პარტიებს, ძველი და ტრადიციული დემოკრატიის სახელმწიფოებს (ALDE n.d.b; გეგელია 2023) მათ შორის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ირლანდიის, ლუქსემბურგის, გერმანიის, ესტონეთის მმართველ პარტიებს, 100-ზე მეტ ევროპარლამენტარს, 6 ევროკომისარს, ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს (ALDE n.d.). ასეთი დონის პოლიტიკური კავშირები ხშირად ითარგმნება ეფექტიან ურთიერთობებში სხვა ევროპულ ინსტიტუტებშიც, მაგალითად, გარკვეული შტრიხების შეტანა შეუძლია ამ ფაქტორს დებატებში ევროპარლამენტში. თავის მხრივ, დიდ ევროგაერთიანებებს პოლიტიკური ჯგუფები ჰყავს სხვადასხვა ორგანიზაციებში, როგორიცაა OSCE, ევროსაბჭო, სადაც ისინი აქტიურები არიან, და ეს არის გზა, რითაც პატარა ქვეყნის არამმართველ პარტიებს შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ ევროპულ პოლიტიკაზე (Burgess 2023; EPP n.d.b. კრევო-ასათიანი 2023; გეგელია 2023).

მეორე მხრივ, პარტიას აქვს შესაძლებლობა, საერთაშორისო არენაზე მისთვის მნიშვნელოვან შიდაპოლიტიკურ საკითხზე ისაუბროს და ოფიციალურ დოკუმენტებშიც ასახოს ის. მაგალითად, ლელომ ALDE-ში გაწევრებიდან მალევე მოახერხა, რომ ევროპარტიის რეზოლუციაში ჩადებულიყო პარტიის ლიდერების - ბადრი ჯაფარიძის და მამუკა ხაზარაძის მანდატის გარშემო პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილების კრიტიკა (გეგელია 2023; RadioTavisupleba 2022). ასევე, 2022 წელს EPP როტერდამის კონგრესზე ენმ-ის მაშინდელმა თავმჯდომარემ, ნიკა მელიამ კონგრესს სიტყვით მიმართა, რაც მაღალი პლატფორმაა პარტიის კონკრეტული გამოწვევების გასაჟღერებლად (Civil.ge 2022). ასეთ დროს პარტიას შეუძლია, ჰქონდეს ევროპელი პარტნიორების მხარდაჭერისა და ლოიალობის იმედი, მათ შორის, შიდაპოლიტიკურ ველზე ბრძოლისთვის. ასეთი ლოიალობის მაგალითად შეიძლება, მივიჩნიოთ ALDE-ს საჯარო მხარდაჭერა იმ დროისთვის პატიმრობაში მყოფი ნიკა გვარამიას მიმართ, რომელიც ოპოზიციურ „მთავარ არხს“ ხელმძღვანელობდა, შესაბამისად, მისი დაპატიმრება თავისუფალი მედიის წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯად იქნა მიჩნეული საერთაშორისო საზოგადოების მიერ (ALDE 2023).

<u>პარტიების ღირებულებითი და იდეოლოგიური მდგრადობა:</u> ევროპარტიებთან ასოცირება ან მათი წევრობა თავისთავად აკისრებს პარტიას იდეოლოგიურ მიკუთვნებულობას. თუმცა, სხვადასხვა კვლევების მიხედვით, ქართული პარტიები იდეოლოგიური აფილირების ნაცვლად უფრო მეტად პრაგმატული მიზნებით აფილირდებიან ევროპარტიებში (Shubladze

2018). იდეოლოგიური და საგნობრივი პლატფორმები ქართულ პოლიტიკურ პარტიებს იშვიათად აქვთ, რაც ქართული პოლიტიკური კულტურის ერთ-ერთ სისუსტედ ითვლება. მიუხედავად იმისა, რომ ევროპარტიებისთვის გაწევრების ერთ-ერთი კრიტერიუმი არის ევროპული გაერთიანების იდეებთან პარტიის თავსებადობა, ისინი მეტადაა ღირებულებებზე დაფუძნებული, ვიდრე კონკრეტულ იდეოლოგიაზე, თუმცა თავად ეს ღირებულებებიც, ცხადია, კონკრეტული იდეოლოგიის ჩარჩოებში ექცევა.

ALDE-ს შემთხვევაში, სადაც ყველაზე მეტი ქართული პარტიაა გაწევრებული, ლიბერალური ოჯახი საკმაოდ ფართოა და ფართოდ ინტერპრეტირდება სხვადასხვა ქვეყნებში თავიანთი კულტურების მიხედვით. ამიტომ, ორმაგად რთული ხდება ევროპარტიების მხრიდან კონტროლის მექანიზმების შემუშავება. პრაქტიკის გათვალისწინებით, ალიანსის ბიუროს შეუძლია მისია გაგზავნოს კონკრეტულ ქვეყანაში, სადაც არსებობს გარკვეული ეჭვები და წუხილები იმასთან დაკავშირებით, რომ წევრი პარტია საკუთარი პოლიტიკური სტრატეგიით სცდება კონკრეტული ევროპული ოჯახის იდეურ ღირებულებებს (Burgess 2023). თუმცა, რთულია იმის გაზომვა და კონტროლი, თუ რამდენად თავსებადია წევრი პარტიების იდეოლოგიური მდგრადობა. ცხადია, წევრი პარტიის პროგრამა უნდა იყოს შესაბამისი ალიანსის ძირითად პრინციპებთან, თუმცა, ამ ეტაპზე, როგორც ჩანს, ამის მონიტორინგის მექანიზმები ევროპარტიების პრიორიტეტებს შორის არ არის.

<u>პარტიის ინსტიტუციური მშენებლობა და შიდა დემოკრატია</u>: ევროპარტიებთან ასოცირება და მათ საქმიანობაში ინტეგრირება მნიშვნელოვანია პარტიის შიდასტრუქტურული გაძლიერებისთვის. ევროპულ პარტიულ ჯგუფებში მიღებულმა გამოცდილებამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს ქართულ პარტიებს ინსტიტუციური მშენებლობის და ერთგვარი „ნოუ ჰაუს“ შემოტანის თვალსაზრისით (Kakhishvili 2018).

ევროპაში პარტნიორი პარტიების ქსელის შექმნა მნიშვნელოვანია საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების თვალსაზრისით. მაგალითად, სხვადასხვა დემოკრატიებში ფანდრაიზინგის, ან საარჩევნო კამპანია კარდაკარის სხვადასხვა კულტურები არსებობს და ამის სწავლა შეუძლიათ იმ პარტიებს, რომლებიც ნაკლებად გამოცდილი არიან ამ მიმართულებით (Burgess 2023). არსებობს წარმატებული ქართული გამოცდილებაც, როდესაც, მაგალითად, რესპუბლიკურმა პარტიამ ერთ-ერთი პირველი ყრილობა ევროგაერთიანებაში გაწევრების შემდეგ ელექტრონული პრინციპით ჩაატარა, რაც სწორედ ევროპული გამოცდილების გაზიარება იყო (სამნიძე 2023). ამ გამოცდილებების წარმატებით გაზიარებისთვის განსაკუთრებულად სასარგებლო იქნება, თუ ქართული პარტიები დაამყარებენ გამორჩეულად მჭიდრო კავშირებს ევროპული პარტიების გაერთიანებების ისეთ წევრებთან, ვისაც მსგავსი გამოწვევები აქვთ. ეს მიდგომა ბევრად რეალისტურს გახდის გამოცდილების გაზიარების პრეცედენტებს. ქართულმა პარტიებმა შეიძლება ინიცირება გაუკეთონ შიდაპარტიულ პლატფორმებს, მაგალითად, უკრაინულ და მოლდოვურ პარტიებთან ერთად, როგორც გამოცდილების გაზიარების, ისე ერთობლივი მუშაობის ჩატარების, ან ერთობლივი რეზოლუციების დაინიციირების ან თემატური სამუშაო ჯგუფების შექმნის მიზნითაც კი.

დემოკრატიის ხელშეწყობის თვალსაზრისით, ქართულმა პარტიებმა უნდა გამოიყენონ კონსულტაციების და მედიაციების ფორმატები, რომლებსაც ევროპული პარტიული გაერთიანებები აქტიურად სთავაზობენ სხვადასხვა წევრებს. ასეთი გამოცდილება ჰქონია, მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკურ პარტიას, როდესაც მათ დატოვეს ქართული ოცნების კოალიცია, ეს ALDE-სთან კონსულტაციების ფონზე მოხდა (სამნიძე 2023). ინკლუზიური პოლიტიკის ხელშეწყობის თვალსაზრისით, შიდაპოლიტიკური კრიზისების დასაძლევად, საკუთრივ ევროპელი პოლიტიკოსები, ფლობენ ერთგვარ ბერკეტს, როცა ევროპარტია ცდილობს გამოიყენოს პოზიტიური გავლენის პრინციპი და წვლილი შეიტანოს, რომ გამოასწოროს დემოკრატიული დარღვევები ამა თუ იმ პარტიის დღის წესრიგში (EPP ინტერვიუ 2023). თავის მხრივ, ამ მიმართულებით წვლილის შეტანის მცდელობა ჰქონდა EPP-ს, როდესაც მან მედიაციის ფორმატი შესთავაზა თავის წევრ ორ ქართულ პარტიას - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და ევროპულ საქართველოს 2018 წლის არჩევნების წინ (კრევო-ასათიანი 2023; Daul 2018). მართალია, ეს თანამშრომლობა პრაქტიკაში ნაკლებად ეფექტიანი აღმოჩნდა, თუმცა რადიკალური პოლარიზაციის დაძლევისთვის, განსაკუთრებით, საარჩევნო პერიოდში, მნიშვნელოვანი ავტორიტეტული რესურსი შეიძლება იყოს ქართული პოლიტიკური პარტიებისთვის სხვა პარტიებთან ურთიერთობების დაგეგმვისა და განხორციელებისას.

იმისთვის, რომ პარტიებმა ამგვარი რესურსების ეფექტიანი გამოყენება შეძლონ, მნიშვნელოვანია რამდენიმე გამოწვევის დაძლევა პარტიებში საკუთრივ მსგავს საკითხებზე სპეციალიზებული და ავტორიტეტული ადამიანური რესურსის მობილიზების კუთხით. ქართული პარტიების უმეტესობის შემთხვევაში, რთულია, პარტიებში სტრუქტურულად საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელი ერთეულის იდენტიფიცირება. ასეთები, ძირითადად, არიან საქართველოს რესპუბლიკური პარტია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ლელო (გეგელია 2023; კრევო-ასათიანი 2023; სამნიძე 2023). უმეტეს შემთხვევაში, საერთაშორისო დონეზე ურთიერთობების გრავიტაციის ცენტრი არის მხოლოდ პარტიის ლიდერი. ეს ტექნიკურ გამოწვევას წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ აფერხებს ევროპულ პარტიებთან ინტენსიურ ბიუროკრატიულ კომუნიკაციას. ამას ემატება ისიც, რომ პარტიების საკომუნიკაციო არხებზე - ვებგვერდებზე ან სხვა საჯარო პლატფორმებზე არ იძებნება შესაბამისი სტრატეგია ან ინფორმაცია შიდასტრუქტურული დეტალების შესახებ, რაც ართულებს საერთო წარმოდგენის შექმნას იმის შესახებ, თუ როგორია კონკრეტული პარტიის საერთაშორისო ურთიერთობები, როგორ იმართება და რეგულირდება ეს მიმართულება პარტიაში და რა ამოცანებს ემსახურება ევროპულ გაერთიანებებში წევრობა ამა თუ იმ პარტიის შემთხვევაში.

<u>ეროვნული ინტერესები ევროპულ პოლიტიკურ არენაზე:</u> იმისთვის, რომ პარტიებმა ევროპული პარტიების გაერთიანებებში ეროვნული საკითხები დააყენონ დღის წესრიგში, სხვადასხვა მექანიზმები არსებობს. რომელიმე ევროპული ოჯახის წევრ ყველა პარტიას შეუძლია იმუშაოს ინდივიდუალურად ევროკავშირის ინსტიტუტების ხელმძღვანელებთან,

ევროპარლამენტის წევრებთან, რომლებიც საქართველოს შესახებ მუშაობენ, ევროპული სახელმწიფოების ლიდერებთან, მთავრობების ხელმძღვანელებთან და ა.შ.(დანართი).

ALDE-ში საქართველოს სრული წევრის სტატუსით წარმოადგენს 2 პარტია. ეს იმას ნიშნავს, რომ ხმის მიცემა სხვადასხვა ცვლილებებზე ოფიციალურ დოკუმენტებში, ასევე, სხვადასხვა შეთავაზებების გაკეთება სრული წევრებისთვის, მათ შორის, ქართული პარტიებისთვის მისაწვდომია (Burgess 2023). ეს ქართულ პარტიებს საკმაოდ მნიშვნელოვან შესაძლებლობას აძლევს, გარკვეული როლი ჰქონდეთ ევროპული პოლიტიკის დღის წესრიგზე ქვეყნის ეროვნული ინტერესის სასარგებლოდ. ხშირად, ევროპული პარტიების გაერთიანებების დეკლარაციები ბევრად თამამი და მომთხოვნი შეიძლება იყოს, ვიდრე ოფიციალური ბრიუსელის, რომელიც ევროკავშირის დონეზე მიიღება (EPP ინტერვიუ 2023). ადგილობრივი პოლიტიკური პარტიის ხელში ესეც დამატებითი ინსტრუმენტია, რომ სხვადასხვა რეზოლუციების, დეკლარაციების და დოკუმენტების მიღებისას, რაც შეიძლება, ინტენსიურად დადგეს საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხი. მნიშვნელოვანია, რომ ასეთ დოკუმენტებს, როგორც წესი, უერთდებიან ინდივიდუალური ევროპელი ლიდერები, რომლებიც ხელს აწერენ ევროპული პარტიების გაერთიანების მიერ მიღებულ გარკვეულ დეკლარაციებს. აქედან გამომდინარე, ხშირად, ასეთმა დოკუმენტმა მედიის გამოხმაურებაც მეტად შეიძლება დაიმსახუროს, ვიდრე ევროკავშირის ოფიციალურმა რეზოლუციებმა (EPP ინტერვიუ 2023; კრევო-ასათიანი 2023).

თავად სხვადასხვა ევროპული ოჯახები, ზოგიერთ შემთხვევაში, ერთიანდებიან მნიშვნელოვანი საკითხების გარშემო და მსგავს პოზიციებს აჟღერებენ. მაშინ, როცა ქართული პარტიები, განსაკუთრებით, მმართველი ქართული ოცნება და ყველაზე დიდი ოპოზიციური ნაციონალური მოძრაობა რადიკალური პოლარიზების პოლუსებად მიიჩნევიან, ევროპული პარტიების გაერთიანებები აქვეყნებენ საერთო კრიტიკას, მაგალითად, 2019 წელს, როცა პარლამენტმა პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის კანონპროექტი ჩააგდო, ევროპის სახალხო პარტიამ (EPP)-მ და სოციალისტების ჯგუფმა (S&D)-მ დამოუკიდებლად, მაგრამ ერთი და იგივე შინაარსის კრიტიკა გამოაქვეყნეს (Civil.ge 2019). ასეთი მიდგომა ერთგვარ წამახალისებელ გარემოს ქმნის ქართული პოლიტიკური აქტორებისთვის, მეტი კონსოლიდაცია მოახდინონ ზოგადეროვნულ საკითხებზე.

თავის მხრივ, ორივე პოლიტიკურ ჯგუფში, რომელშიც ქართული პარტიები მოღვაწეობენ, აღნიშნავენ, რომ ისინი ყოველთვის აქტიურად მონაწილეობენ არა მხოლოდ საქართველოსთვის საინტერესო საკითხების, არამედ გლობალური პოლიტიკური ცვლილებების შესახებ განხილვებში. ქართული პარტიების დღის წესრიგში ქვეყნის ევროინტეგრაციის მიმართ ევროპული მხარდაჭერის გაზრდა ცალსახად მთავარი საკითხია. თუმცა, ისინი აქტიურად მონაწილეობენ გეოპოლიტიკურ დებატებშიც. შესაბამისად, ბოლო ხანებში, უკრაინა იყო ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ხშირად დომინირებდა მათ დღის წესრიგში (Burgess 2023; EPP ინტერვიუ 2023). ქართული ოცნების მხრიდან ხშირად ისმის კრიტიკა, რომ რადგან ქვეყანა ევროინტეგრაციის მიმართულებით წინსვლას ვერ

ახერხებს, ეს არა დემოკრატიული ჩავარდნის, არამედ „უპასუხისმგებლო“ ოპოზიციის დამსახურებაა, ლობირებენ რა ისინი საქართველოს საწინააღმდეგოდ, რათა ქვეყანამ კანდიდატის სტატუსი ვერ მიიღოს (კობახიძე 2022; ღარიბაშვილი 2023). თავის მხრივ, აღსანიშნავია, რომ ევროპარლამენტარმა და საქართველოს საკითხებით აქტიურად დაინტერესებულმა პოლიტიკოსმა, ვიოლა ფონ კრამონმა არ დაადასტურა ეს ინფორმაცია და განაცხადა, რომ ქართველი კოლეგების მხრიდან მსგავსი ნეგატიური გზავნილები ბრიუსელში არ მიდის (Von Cramon 2022).

ამგვარად, იმ ფონზე, რომ საქართველოს მმართველი პარტიის კომუნიკაცია ევროპულ პოლიტიკურ ლიდერებთან მცირდება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სხვა ქართული პოლიტიკური პარტიების მუდმივი და აქტიური მუშაობა ევროპელ პარტნიორებთან სხვადასხვა ფორმატების ფარგლებში და სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით. ერთი მხრივ, ამან უნდა უზრუნველყოს საქართველოს საკითხის აქტუალობის შენარჩუნება ევროპელ ლიდერებს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ჯანსაღი პოლიტიკური კულტურის გაძლიერებას ქვეყნის შიგნით. იმ შემთხვევაში, თუ ამ ამოცანას პარტიები წარმატებით გაართმევენ თავს, მათ შეეძლებათ, რომ საქართველოს გამოკვეთილად პროდასავლურ ამომრჩეველს შორის პარტიების მიმართ ნდობა და მხარდაჭერა ბევრად უფრო გაზარდონ, განსაკუთრებით, არჩევნებამდე ერთი წლით ადრე.

პარტიების სანდოობა საზოგადოებაში: დამატებითი კავშირი ამომრჩეველთან

ევროპულ პარტიულ გაერთიანებებთან ახლო ურთიერთობების დამყარებას და საერთაშორისო მხარდაჭერის ამ კუთხით მობილიზებას წვლილის შეტანა შეუძლია პარტიების იმიჯის გაძლიერებაში ადგილობრივ დონეზე. ქართული საზოგადოების 80%-ზე მეტი ქვეყნის ევროინტეგრაციის სტაბილური მომხრეა (CRRC 2023b) და თან, საქართველოში პარტიები ხედავენ, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, საგარეო პოლიტიკა ქართული საზოგადოებისთვის კიდევ უფრო რელევანტური და აქტუალური გახდა (გეგელია 2023). ამ ფონზე, ქართული პოლიტიკური პარტიები საზოგადოებაში ნდობის კრიზისს განიცდიან, რასაც სტაბილურად ადასტურებს არაერთი გამოკითხვა (CRRC 2023a). ამომრჩევლის დიდი ნაწილი საკუთარ თავს ვერცერთ პარტიასთან ვერ აიდენტიფიცირებს, პოლიტიკური პარტიების შიდასაზოგადოებრივი რეპუტაცია დაზიანებულია. ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ ქართული საზოგადოება ბევრად ენდობა დასავლურ პოლიტიკურ აქტორებსაც. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, არსებობს საფუძველი იმის თქმისთვის, რომ ძლიერი პარტიული კავშირების ქონა ევროპაში, ხელს შეუწყობს ნდობის გაზრდას და ელექტორალური მხარდაჭერის გაძლიერებას.

მნიშვნელოვანია რომ როგორც EPP, ისე ALDE გამოკვეთილად აფიქსირებენ მხარდაჭერას იმ ქართული პარტიებისადმი, რომლებიც მათთან არიან ასოცირებული სხვადასხვა სტატუსით. ამგვარი საჯარო მხარდაჭერის გაძლიერებაზე ზრუნვას შეუძლია, გაზარდოს კონკრეტული პარტიების ლეგიტიმაცია ამომრჩევლის თვალში. ამას იაზრებს ზოგიერთი პარტიაც: ისინი ხედავენ, რომ *„საზოგადოებამ ევროპელი პოლიტიკოსები სახელებით და გვარებით იცის“* (სამნიძე 2023), და მათი მოსაზრებები საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა და თავად ქართული პარტიების შესახებ ფართო მასებისთვის საინტერესოა, რადგან მოსახლეობის უმრავლესობას, სინამდვილეში, უნდა იმ პოლიტიკური სივრცის ნაწილად ყოფნა (კრევო-ასათიანი 2023).

თუმცა, ნიშანდობლივია, რომ ასეთ კავშირებს იშვიათად იყენებენ ქართული პარტიები ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაციისას არჩევნებს შორის პერიოდში ან წინასაარჩევნო კამპანიებში. ამომრჩევლის თვალში პარტიების ნდობის გამყარების სტრატეგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად შეიძლება იქცეს ამ საკითხების გააქტიურება - მსგავსი გამოწვევების მქონე პარტიების მოწვევა საქართველოში, გამოცდილების გაზიარების სხვადასხვა აქტივობების ორგანიზება, ერთიანი მხარდაჭერის მობილიზება საერთაშორისო დონის სხვადასხვა მნიშვნელოვან მოვლენაზე. ამგვარი მუშაობა ამომრჩეველში გააჩენს განცდას, რომ პარტიას, რომელსაც ხმა უნდა მისცეს, აქვს ევროპელი პარტნიორების მხარდაჭერა და მისი ავტორიტეტი მნიშვნელოვანია პარტნიორი ევროპული პარტიებისთვის.

იმისთვის, რომ ეს განცდა პოლიტიკურმა პარტიამ ახლოს მიიტანოს ამომრჩეველთან, მნიშვნელოვანია, რომ ქართულმა პარტიებმა მეტი ინტელექტუალური და ფინანსური რესურსი ჩადონ სოციალური მედიის გააქტიურებაში. პარტიების ტექნოლოგიური საკომუნიკაციო არხების როლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც საქმე ეხება საკუთარი ამომრჩეველსა და ევროპელ პარტნიორებს შორის მაქსიმალურად უშუალო პლატფორმის შექმნას. როგორც წესი, ქართულ პოლიტიკურ პარტიებს ამ მიმართულებით მუშაობის მცირე გამოცდილება აქვთ: სუსტია პოლიტიკური ბლოგინგის, ონლაინ კონფერენციების, გამართული ვებსაიტების, ინტერნეტ-გამოკითხვების, უკუკავშირის ონლაინ მექანიზმების პრაქტიკა (კაკაჩია, პატარაია 2013). შესაბამისად, საინტერესო იქნებოდა სხვადასხვა ევროპულ პარტიებს შორის ამ მხრივ გამოცდილების გაზიარებაც.

ამგვარად, ამომრჩეველთან და ევროპელ მეგობრებთან სწორად კომუნიკაცია, განსაკუთრებით, უახლოეს საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, შესაძლოა, უპირატესობასაც კი აძლევდეს ზოგიერთ ოპოზიციურ პარტიას, რომელიც ევროპულ პარტიულა და ჯგუფებთან მუშაობას აგრძელებს. ამგვარი პარტიებისთვის საინტერესო უნდა იყოს, ამომრჩეველთან კომუნიკაციის გაძლიერება მათი ევროპული კავშირებისა და გამოცდილებების შესახებ. ამ მიმართულებით პარტიების გააქტიურება მათ დამატებით ნდობას, ელექტორალურ სარგებელს და მხარდაჭერას მოუტანს შიდაპოლიტიკურ ველზე. შესაბამისად, დროა, ქართულმა პარტიებმა კიდევ უფრო აქტიურად აამუშაონ თავიანთი

კავშირები ევროპულ პარტიულ გაერთიანებებთან, როგორც ამომრჩეველთან კომუნიკაციის მექანიზმი.

დასკვნები და რეკომენდაციები

2024 წლის არჩევნებამდე თითქმის ერთი წლით ადრე, ქართული ოცნება, ერთი მხრივ, რისკის ქვეშ აყენებს ევროინტეგრაციის გაცხადებულ ამოცანას და კარგავს პარტნიორებს დასავლეთში, მეორე მხრივ კი, ძალაუფლების მეოთხე ვადით შესანარჩუნებლად ემზადება. ამ ფონზე, ოპოზიციური პარტიები, რომლებმაც საზოგადოებას ალტერნატივა უნდა შესთავაზონ, საზოგადოებრივი ნდობის და შიდაპარტიული დემოკრატიის მწვავე ნაკლებობას განიცდიან. ქართული პოლიტიკური პარტიების გააქტიურება ევროპულ პარტიულ გაერთიანებებში, შესაძლოა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყოს ამ ჩიხიდან თავის დასაღწევად და არჩევნებისთვის რესურსების მობილიზებისთვის.

ევროპულ პოლიტიკურ აქტორებთან მეტად დაახლოება ქართულ პარტიებს ეხმარება, საკუთარი სანდოობა გაზარდონ ამომრჩევლის თვალში. გარდა ამისა, უშუალო წვდომა ევროპელ ლიდერებთან აჩენს შესაძლებლობას პარტიებისთვის, უფრო რეალურად დააყენონ ეროვნული მნიშვნელობის საკითხები ევროპულ დღის წესრიგში. თუმცა, ამ რესურსის გამოყენების თვალსაზრისით, არაერთი ინსტრუმენტის და სტრატეგიის გააქტიურებაა საჭირო როგორც საკუთრივ ქართული პარტიების, ისე ევროპული პარტიული გაერთიანებების მხრიდან. შესაბამისად, წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტი, ჩატარებული კვლევის საფუძველზე სთავაზობს რეკომენდაციებს სხვადასხვა აქტორებს:

ევროპული პარტიების გაერთიანებების წევრ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს:

- შეიქმნას ქართულ პარტიებში საერთაშორისო ურთიერთობების, განსაკუთრებით, ევროინტეგრაციის შესახებ დამოუკიდებელი სტრატეგია, ჩამოყალიბდეს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული პარტიაში და დაინიშნოს პასუხისმგებელი წევრი (იქ, სადაც ეს არ არსებობს), რაც უზრუნველყოფს რეგულარულ პროფესიონალურ კომუნიკაციას ევროპული პარტიების გაერთიანებებთან;

- პოლიტიკურმა პარტიებმა განახორციელონ კონკრეტული საუკეთესო პრაქტიკები ევროპული პარტიების გაერთიანებების შესაბამისი წევრი პარტიებისგან იდეოლოგიური იდენტობის, პლატფორმის, შიდაპარტიული სტრუქტურის და პროცედურული დახვეწისთვის;

- პოლიტიკურმა პარტიებმა წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურად გამოიყენონ მათი აფილიაცია ევროპულ ჯგუფებთან წარმატებული მაგალითების ან მოკლე, ვიზუალურად გასაგები ანგარიშების გამოქვეყნების გზით;

- პოლიტიკურმა პარტიებმა, წინასაარჩევნო კამპანიის მიღმა, რეგულარულად გამოიყენონ სოციალური მედიის პლატფორმები ამომრჩევლის ფართო მასებთან საკომუნიკაციოდ; ამ მიმართულებით განახორციელონ აქტიური გამოცდილების გაზიარების კამპანია მომწიფებულ და განვითარებულ ევროპულ პარტიებთან ერთად კონკრეტული ევროპული პარტიების გაერთიანების ფარგლებში;

- ევროპულ პარტიულ გაერთიანებებში სტატუსისთვის საჭირო ფინანსური რესურსის მობილიზებისთვის, განახორციელონ მიზნობრივი ფანდრაიზინგი საზოგადოებაში კონკრეტულად ევროპული პარტიების გაერთიანებებში მოღვაწეობის, აქტიურობის და ასეთ დონეზე ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაყენების მიზნით;

- სპეციალური ფორმატის (მემორანდუმის თუ სტრატეგიული თანამშრომლობის) ფარგლებში ურთიერთობები დააინიცირონ კონკრეტულ პარტიებთან, რომლებთან თანამშრომლობა შეიძლება განსაკუთრებით სასარგებლო იყოს ქართული პარტიებისთვის (უკრაინაში, მოლდოვაში, ბალტიის ქვეყნებში და ა.შ.). შედეგად, ეს შეუქმნის ქართულ პარტიებს განსაკუთრებულ მეგობართა კონკრეტულ წრეს;

- შესთავაზონ ევროპულ გაერთიანებებს ყოველწლიური პარტიული კონფერენცია, რომელიც უმასპინძლებს ევროპული პარტიების გაერთიანებების წევრებს, მათ შორის, მაღალი დონის ევროპელ ლიდერებს საქართველოში კონკრეტულად პარტიების გარკვეული ჯგუფის (მაგალითად, ასოცირებული ტრიოს ქვეყნების პარტიების) წინაშე არსებული გამოწვევების განსახილველად და გამოცდილებების გასაზიარებლად;

- ევროპული პარტიული ჯგუფების მცირე (შვილობილ) ერთეულებში, როგორიცაა კვლევითი, ქალების, ახალგაზრდების ქვესტრუქტურები, ჰყავდეთ შესაბამისი წარმომადგენლობა და აქტიურობა გამოიჩინონ შესაბამის თემატურ ქვეპროექტებში;

- სადაც და როცა ეს შესაძლებელია, პროაქტიულად გამოიყენონ ევროპული პარტიების გაერთიანებების ავტორიტეტი შიდა კრიზისებთან გასამკლავებლად, მაგალითად, ინტერპარტიული მედიაციის სახით.

ევროპულ პარტიულ გაერთიანებებსა და ცალკეულ წევრ პარტიებს ევროპაში:

- შეიქმნას წევრი პარტიების იდეოლოგიური სტაბილურობის შეფასების მექანიზმები მინიმუმ ჰიბრიდული დემოკრატიისა და სუსტი პარტიული კულტურის მქონე სახელმწიფოებში;

- განსაკუთრებით რთულ შემთხვევებში, პარტიის გარიცხვის ნაცვლად, შემუშავდეს პირობითობის დამატებითი ბერკეტები, მაგალითად, შიდაპარტიული სანქცირების მექანიზმი, რაც წევრი პარტიის ანგარიშვალდებულებას მეტად გააძლიერებს;

- პერიოდულად სამიტები თუ სხვა ტიპის მცირე ყრილობები, სამუშაო ჯგუფები და თემატური კონფერენციები დაიგეგმოს ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში, სადაც კონკრეტულ პარტიებს ექნებათ საშუალება, უმასპინძლონ მაღალი დონის სტუმრებს მაშინაც კი, როცა ისინი არ არიან ხელისუფლებაში;

- ფასილიტაცია გაუწიონ ევროპული პარტიების გაერთიანებების შიგნით პარტიათა არაფორმალურ გაერთიანებებსა და თანამშრომლობებს სხვადასხვა ნიშნით - გეოგრაფიული, მსგავსი სტრატეგიული ინტერესების, თემატური მუშაობის თუ სხვა კრიტერიუმით;

- დაგეგმონ დამოუკიდებელი სტრატეგია [განსაკუთრებით არაევროკავშირის წევრი ქვეყნების] მოქალაქეებს შორის მათი ცნობადობის გაზრდის თვალსაზრისით;

- არჩევნების დროს აქტიურად და საჯაროდ (ხშირად, ადგილზე ვიზიტებითაც) დაუჭირონ მხარი იმ ქართულ პარტიებს, რომლებიც აფილირებული არიან კონკრეტულ ევროპულ ჯგუფთან;

- საჭიროების შემთხვევაში, შეინარჩუნონ საკუთარი წევრი პარტიის მიმართ კრიტიკული ტონი რაიმე გადაცდომის შემთხვევაში, რაც პირობითობის მნიშვნელოვანი კომპონენტი შეიძლება იყოს; ასევე, გაზარდოს საკუთარი სანდოობაც ფართო საზოგადოების თვალში.

გამოყენებული ლიტერატურა

ALDE. 2022. On Georgia's performance of 12 recommendations set forth by the European Commission to receive EU candidate status. ხელმისაწვდომია: https://assets.nationbuilder.com/ALDEparty/pages/6213/attachments/original/1670233610/014_-_On_Georgias_performance_of_12_recommendations_EU_candidate_status.pdf?1670233610 ბოლოჯერ ნანახია: 10 სექტემბერი, 2023;

ALDE. 2023. European liberals mark World Press Freedom Day. ხელმისაწვდომია: https://www.ALDEparty.eu/european_liberals_mark_world_press_freedom_day ბოლოჯერ ნანახია: 10 სექტემბერი, 2023;

ALDE. n.d.a ARTICLES OF ASSOCIATION of the Alliance of Liberals and Democrats for Europe 2 Party, eupp. ხელმისაწვდომია: https://assets.nationbuilder.com/ALDEparty/pages/1473/attachments/original/1685692003/ALDE_Statutes_FINAL_28-05-2023.pdf?1685692003 ბოლოჯერ ნანახია: 10 სექტემბერი, 2023;

ALDE. n.d.b. ALDE Member Parties. ხელმისაწვდომია: https://www.ALDEparty.eu/ALDE_member_parties ბოლოჯერ ნანახია: 10 სექტემბერი, 2023;

Civil.ge. 2019. EPP, S&D Disappointed, Concerned by Georgia MPs Downvoting Constitutional Amendment. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/archives/328624 ბოლოჯერ ნანახია: 2 აგვისტო, 2023;

Civil.ge. 2022. "Open the Door to Georgia," Key Opposition Leader Tells EU. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/archives/493545 ბოლოჯერ ნანახია: 2 აგვისტო, 2023;

CRRC 2023a. ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/ge/nm2023ge/PARTYSUPS/ბოლოჯერ ნანახია: 2 აგვისტო, 2023;

CRRC 2023b. ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/en/nm2023ge/GEOEU/ ბოლოჯერ ნანახია: 2 აგვისტო, 2023;

Daul, Joseph. 2018. ხელმისაწვდომია: https://twitter.com/JosephDaul/status/1016747097020919808 ბოლოჯერ ნანახია: 4 ოქტომბერი, 2023;

EPP. 2022. On Democratic Backsliding and Political Persecutions in Georgia. ხელმისაწვდომია: https://www.epp.eu/papers/on-democratic-backsliding-and-political-persecutions-in-georgia ბოლოჯერ ნანახია: 4 ოქტომბერი, 2023;

EPP. n.d.a. Parties & Partners. ხელმისაწვდომია: https://www.epp.eu/parties-and-partners ბოლოჯერ ნანახია: 4 ოქტომბერი, 2023;

EPP. n.d.b. Network. ხელმისაწვდომია: https://www.epp.eu/network/beyond-the-eu ბოლოჯერ ნანახია: 4 ოქტომბერი, 2023;

Europarl. N.d. The Political groups of the European Parliament. ხელმისაწვდომია: https://www.europarl.europa.eu/about-parliament/en/organisation-and-rules/organisation/political-groups ბოლოჯერ ნანახია: 4 ოქტომბერი, 2023;

Formula. 2023. "ერთსულოვნებაა, არავინ დგას ოცნების მხარეს" - კეტი პირი ქართული ოცნების PES-იდან გარიცხვაზე. ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/90178 ბოლოჯერ ნანახია: 4 ოქტომბერი, 2023;

Freedom House. 2023. ხელმისაწვდომია: https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2023 ბოლოჯერ ნანახია: 2 აგვისტო, 2023;

Kakhishvili, Levan. 2018. The socializing effects of Georgian parties' membership in European political party federations. ხელმისაწვდომია: https://gip.ge/publication-post/the-socializing-effects-of-georgian-parties-membership-in-european-political-party-federations/ ბოლოჯერ ნანახია: 2 აგვისტო, 2023;

McAllister, David. 2022. David McAllister: When We Talk About Georgia, Sadly, We Always Remember One Word – Polarization. ხელმისაწვდომია: https://georgiatoday.ge/david-mcallister-when-we-talk-about-georgia-sadly-we-always-remember-one-word-polarization/ ბოლოჯერ ნანახია: 2 აგვისტო, 2023;

PACE. 2022. Further escalation in the Russian Federation's aggression against Ukraine. ხელმისაწვდომია: https://pace.coe.int/en/files/31390/html ბოლოჯერ ნანახია: 10 ოქტომბერი, 2023;

PES. 2022. With Courage for Europe. ხელმისაწვდომია: https://pes.eu/wp-content/uploads/2022/10/Resolution-Congress-2022-web_EN.pdf ბოლოჯერ ნანახია: 10 სექტემბერი, 2023;

PES. n.d. Members. ხელმისაწვდომია: https://pes.eu/members/ ბოლოჯერ ნანახია: 10 სექტემბერი, 2023;

PES. 2023a. Garibashvili CPAC intervention contravenes European and progressive values. ხელმისაწვდომია: https://pes.eu/pes/garibashvili-cpac-contravenes-european-progressive-values/ ბოლოჯერ ნანახია: 10 სექტემბერი, 2023;

PES. 2023b. PES Presidency strips Georgian Dream of observer membership. ხელმისაწვდომია: https://pes.eu/pes/pes-presidency-strips-georgian-dream-of-observer-membership/ბოლოჯერ ნანახია: 10 სექტემბერი, 2023;

RadioTavisupleba. 2022. ALDE: "მკაცრად ვგმობთ "ლელოს" ლიდერების დევნას". ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32160270.html ბოლოჯერ ნანახია: 2 აგვისტო, 2023;

Samkharadze, Nino. 2023. Georgian Dream's Populist Conservatism: Fight to Legitimise and Hold On to Power. ხელმისაწვდომია: https://gip.ge/publication-post/georgian-dreams-populist-conservatism-fight-to-legitimise-and-hold-on-to-power/ ბოლოჯერ ნანახია: 2 აგვისტო, 2023;

Van Hecke, Steven. 2010. Do Transnational Party Federations Matter? (… and Why Should We Care?). Journal of Contemporary Research. pp. 295-411.

Öhlén Mats, 2023. ხელმისაწვდომია: https://www.sieps.se/en/publications/2023/the-role-of-europarties-in-ukraine/ბოლოჯერ ნანახია: 2 აგვისტო, 2023;

ვოლსკი, გია. 2022. გია ვოლსკი - "ნაციონალური მოძრაობა" და EPP ერთი პოლიტიკური ჯგუფია - გააფთრებული და გავეშებული შეტევაა საქართველოზე. ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/713099-gia-volski-nacionaluri-mozraoba-da-epp-erti-politikuri-jgupia-gaaptrebuli-da-gaveshebuli-shetevaa-sakartveloze/ ბოლოჯერ ნანახია: 2 აგვისტო, 2023;

იოზვიაკი, რიკარდ. 2023. რას ნიშნავს „ოცნებისთვის“, თუ PES პარტიის წევრის სტატუსს შეუჩერებს. ხელმისაწვდომია: https://publika.ge/ras-nishnav/ ბოლოჯერ ნანახია: 2 აგვისტო, 2023;

კაკაჩია, კორნელი. 2023. რას ნიშნავს „ოცნებისთვის“, თუ PES პარტიის წევრის სტატუსს შეუჩერებს. ხელმისაწვდომია: https://publika.ge/ras-nishnav/ ბოლოჯერ ნანახია: 2 აგვისტო, 2023;

კაკაჩია, კორნელი, პატარაია, თამარ. 2013. სოციალური ქსელების როლი ქართულ პარტიულ პოლიტიკაში. გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი, 2013;

კობახიძე, ირაკლი. 2022. კობახძე EPP-ზე: ნაცმოძრაობა და ევროპული საქართველო წევრები არიან, გავლენა აქვთ. ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/687217-kobakhdze-epp-ze-natsmodzraoba-evropuli 2 ოქტომბერი, 2023;

ლავრელაშვილი, თეონა. 2022. რატომ არ ჩანს "ოცნების" ევროპელი პარტნიორი პარტია. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/614537/ ბოლოჯერ ნანახია: 10 ოქტომბერი, 2023;

ლავრელაშვილი, თეონა. 2023. ვისთან შეიძლება ითანამშრომლოს "ოცნებამ" ევროპაში, თუ სოციალისტებთან კავშირი შეწყდება. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/life/668877/ ბოლოჯერ ნანახია: 20 სექტემბერი, 2023;

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 1995. საქართველოს კონსტიტუცია. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36 ბოლოჯერ ნანახია: 2 აგვისტო, 2023;

ქართული ოცნება. 2023. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/live/?ref=watch_permalink&v=216365401112695 ბოლოჯერ ნანახია: 2 აგვისტო, 2023;

წულუკიანი, თეა. 2022. EPP-ის მიზანია, საქართველომ არ მიიღოს EU-ს წევრობის სტატუსი – წულუკიანი. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/613629/ ბოლოჯერ ნანახია: 2 ოქტომბერი, 2023.

ჩატარებული ინტერვიუები:

ბურგესი, ენდრიუ. ALDE უფროსი პოლიტიკური მრჩეველი, წევრი პარტიების საკონტაქტო პირი; ონლაინ კომუნიკაცია. 24 თებერვალი, 2023;

EPP ინტერვიუ (ანონიმური). ონლაინ კომუნიკაცია. 11 აპრილი, 2023;

კვაშილავა, ბაკური. საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი, პირადი კომუნიკაცია. 10 მარტი, 2023;

გეგელია, გრიგოლი. პარტია ლელო საქართველოსთვის წევრი, პირადი კომუნიკაცია, 17 მარტი, 2023;

სამნიძე, ხათუნა. საქართველოს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე. პირადი კომუნიკაცია. 11 მაისი, 2023;

კრევო-ასათიანი, ალექსანდრე. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. პირადი კომუნიკაცია. 6 სექტემბერი, 2023.

დანართი:

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამთავრობო ლიდერების გადანაწილება ევროპული პარტიების გაერთიანებებში 2023 წლისთვის.

ევროპის სახალხო პარტია (EPP)	ლიბერალების და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის (ALDE)	ევროპის სოციალისტთა პარტია (PES)
ხორვატია	ბელგია (2 პარტია)	ბელგია
ირლანდია	კვიპროსი	გერმანია
ავსტრია	დანია	ესპანეთი
რუმინეთი	ესტონეთი	მალტა
შვედეთი (2 პარტია)	ფინეთი	დანია
ფინეთი (2 პარტია)	საფრანგეთი	პორტუგალია
	ირლანდია	რუმინეთი
	გერმანია	
	ლიეტუვა (2 პარტია)	
	ლუქსემბურგი	
	შვედეთი	
	ნიდერლანდები (2 პარტია)	